

ინგლისური ზედსართავი სახელის “lazy” და მისი ქართული კორელატის ეტიმოლოგიური და სემანტიკური ანალიზი

Etymological and Semantic Analysis of the English adjective “lazy” and Its Georgian Correlate

მარიამ დოდაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Mariam Dodashvili

Tbilisi State University

Abstract

This article examines the English adjective *lazy* from etymological and semantic points of view and compares it with its Georgian correlate. The results of the study show that *lazy*, which was first recorded in the English language in the 16th century, has Indo-European roots and is a polysemantic word, while its Georgian counterpart has a vague etymology and only one meaning, which can be found. Both the studied languages are rich in expressions, which contain the word under study.

Keywords: lazy, etymology, semantics, correlate, word formation

საკვანძო სიტყვები: ბარმაცი, ეტიმოლოგია, სემანტიკა, კორელატი, სიტყვანარმოება

1. შესავალი

წინამდებარე სტატიის მიზანია განიხილოს ინგლისური ზედსართავი სახელი *lazy* ეტიმოლოგიური და სემანტიკური თვალსაზრისით ქართულ ენასთან მიმართებაში. ჩემი ნაშრომის თეორიულ საფუძველს ქმნის ინგლისური ენის ლექსიკოლოგია და გრამატიკა, ხოლო ემპირიული მასალა მოვიპოვე კოლინზის ინგლისური ენის ლექსიკონიდან, მერიამ-ვებსტერის ლექსიკონიდან, ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონიდან, ქართულ სინონიმთა ლექსიკონიდან, სხვა ონლაინ წყაროებიდან და მხატვრული ლიტერატურიდან.

2. კვლევის თეორიული ჩარჩოები

ნაშრომის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს თანამედროვე ლინგვისტიკაში არსებული თეორიები, როგორებიცაა კონცეპტუალური მეტაფორის თეორია და სემანტიკური ველის თეორია.

კონცეპტუალური მეტაფორის თეორია ჩამოაყალიბეს ლეიკოფმა და ჯონსონმა თავიანთ ნაშრომში *Metaphors We Live By* (1980). მათ დაადგინეს, რომ მეტაფორა არ არის უბრალოდ მხატვრული ხერხი, რომელსაც ლიტერატურულ ტექსტებში ვხვდებით, არამედ იგი ადამიანის აზროვნების განუყოფელი ნაწილია. მათი თეორიის მიხედვით, მეტაფორა თავს იჩენს ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში, თუნდაც ყველაზე უმნიშვნელო აქტივობებში. ჩვენი კონცეპტუალური სისტემა, რომელიც დიდწილად მეტაფორულია, გვეხმარება რეალობის აღქმაში. (Lakoff & Johnson, 1980, გვ.4).

კონცეპტუალური მეტაფორის თეორიის მიხედვით, აბსტრაქტული კონცეპტები გადმოიცემა მეტაფორულად კონკრეტული კონცეპტების საშუალებით. ლეიკოფსა და ჯონსონს მაგალითად მოჰყავთ TIME IS MONEY (Lakoff & Johnson, 1980, გვ.8). როდესაც ვამბობთ, რომ დრო ფულია, ვგულისხმობთ, რომ დრო ღირებულია, ისევე, როგორც ფული. აბსტრაქტული კონცეპტები გადმოიცემა არა მხოლოდ ერთი კონკრეტული კონცეპტის მეშვეობით, არამედ რამდენიმე. მაგალითად, დრო ასევე შეიძლება წარმოვადგინოთ, როგორც ამოწურვადი რესურსი (TIME IS A LIMITED RESOURCE) და როგორც ძვირფასი პროდუქტი (TIME IS A VALUABLE COMMODITY) (Lakoff & Johnson, 1980, გვ.9).

რადგანაც სიტყვას *lazy*, ძირითადი მნიშვნელობის გარდა, აქვს მეტაფორული და მეტონიმიური მნიშვნელობები, კონცეპტუალური მეტაფორის თეორიის მეშვეობით შეგვიძლია დავადგინოთ, როგორ განიმარტება სიზარმაცის კონცეპტი მეტაფორულად ინგლისურ და ქართულ ენებში.

სემანტიკური ველის თეორიის მიხედვით, სიტყვები არ გვხვდება, როგორც იზოლირებული ერთეულები, არამედ, ისინი ფუნქციონირებენ ლექსიკურ ერთიერთმომართებათა სისტემაში. სემანტიკური ველი მოიცავს სიტყვებს, რომელთაც აერთიანებს ერთი სემანტიკური კომპონენტი ან ცნება. სიტყვათა მნიშვნელობაზე გავლენას ახდენს მათი ადგილი სემანტიკურ ველში. გინზბურგი ასევე აღნიშნავს, რომ ენებში სემანტიკური გამოცდილება სხვადასხვაგვარად იჩენს თავს, მაგალითად, ინგლისურ ენაში სიტყვები *hand* და *arm* სხეულის ორ სხვადასხვა ნაწილს აღნიშნავს, ხოლო რუსულში ორივეს შეესაბამება მხოლოდ ერთი სიტყვა «рука». (Ginzburg, 1979, გვ. 51).

სემანტიკური ველის თეორიის გამოყენებით, შეგვიძლია უფრო თვალსაჩინოდ შევადაროთ ერთმანეთს ინგლისური სიტყვის *lazy* და მისი ქართული კორელატის სემანტიკა და გავარკვიოთ, რა არის მათ შორის არსებული განსხვავებების მიზეზი.

3. Lazy – ეტიმოლოგიური ანალიზი ინგლისურ ენაში

თანამედროვე ინგლისური სიტყვის *lazy* ზუსტი ეტიმოლოგია ბუნდოვანია. ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონის მიხედვით, მისი გამოყენების უძველესი საბუთია 1549 წლის ტექსტი, რომელიც ეკუთვნის ჯონ ბეილს, ოსორის ეპისკოპოსს, პროტესტანტულ პოლემისტსა და ისტორიკოსს. (Oxford English Dictionary, n.d.). ოქსფორდის ინგლისური ენის ეტიმოლოგიის ლექსიკონის მიხედვით, მისი ადრეული ფორმები იყო *la(y)sie*, *laesy*. (Oxford English Dictionary, n.d.).

თანამედროვე შეხედულებით, *lazy* ინდო-ევროპული წარმოშობის სიტყვაა და იგი უნდა მომდინარეობდეს პროტო-ინდო-ევროპული ერთეულიდან **las-*, რაც ნიშნავს „სუსტს“. აქედან წარმოიშვა პროტო-გერმანიკული ერთეულები **lasiwaz* და **laskaz*, რომლებიც ნიშნავს „უღონოს, სუსტს“, ხოლო მათგან წარმოიშვა ქვემო გერმანული და საშუალო ქვემო გერმანული *lasich* („მოდუნებული, სუსტი, ზარმაცი“).

იგი ენათესავება ჰოლანდიურ *leuzig*-ს („ზარმაცი“), ძველ სკანდინავიურ *lasinn*-ს („დაღლილი, სუსტი“), და ძველ ინგლისურ *lysu*-ს („ბოროტი, მავნე, გახრწნილი“). (Wiktionary, the Free Dictionary, n.d.).

ალტერნატიული ეტიმოლოგიით, *lazy* უკავშირდება ადრეულ საშუალო ინგლისურ *lasy*-ს, რომელიც ისევე წარმოიშვა ზმნიდან *lay* („დადება, დაწვენა“), როგორც *tipsy* წარმოიშვა ზმნიდან *tip*. (Online Etymology Dictionary, n.d.).

საბოლოოდ, *lazy* -მ ჩაანაცვლა სინონიმები *slack*, *slothful*, *idle* და თანამედროვე ინგლისურში იგი თავის სინონიმებს შორის ყველაზე ხშირად გამოიყენება.

4. სემანტიკა

ინგლისური ენის ლექსიკონებში იძებნება *lazy*-ს რამდენიმე სხვადასხვა, თუმცა ერთმანეთთან დაახლოვებული მნიშვნელობა.

1. ამ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა ახასიათებს ვიღაცას (ან რაღაცას), რომელსაც საქმის კეთება არ სურს.

“(disapproving) unwilling to work or be active; doing as little as possible.” (Oxford Learner’s Dictionaries, n.d., Definition 1).

კოლინზის ინგლისური ენის ლექსიკონში ამ მნიშვნელობის შესაბამისი მაგალითებია:

“Lazy and incompetent police officers are letting the public down.” (Collins Dictionary, n.d., Definition 1).

“I was too lazy to learn how to read music”. (Collins Dictionary, n.d., Definition 1).

ამ მნიშვნელობით *lazy* ხშირად გვხვდება მხატვრულ ლიტერატურაშიც, მაგალითად, ციტატაში ჯეინ ოსტინის რომანიდან „ემა“: “Come Miss Woodhouse, Miss

*Otway, Miss Fairfax, what are you all doing? - Come Emma, set your companions the example. Every body is **LAZY!** Every body is asleep!"* (Austen, 1886, გვ. 283).

ეს მნიშვნელობა ყოველთვის ნეგატიურ კონტექსტში გამოიყენება, მაგალითად, ვინმეს გაკაცებისას ან შენიშვნის მიცემისას, რადგან იგი მიუთითებს უარყოფით თვისებაზე. მისი სინონიმები ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს *idle, inactive, indolent, slack*.

2. ზოგჯერ *lazy* გამოხატავს არა სიზარმაცეს, არამედ რაიმე აქტივობას, მოვლენას ან მდგომარეობას, როდესაც ადამიანს განტვირთვა შეუძლია და არ სჭირდება გარჯა. *"Not involving much energy or activity; slow and relaxed"* (Oxford Learner's Dictionaries, n.d., Definition 2).

ეს მნიშვნელობა სიტყვამ *lazy* შეიძინა მეტაფორიზაციის პროცესის შედეგად, რადგან თავდაპირველად მას ჰქონდა უფრო ვიწრო მნიშვნელობა და მხოლოდ სიზარმაცის კონტექსტში გამოიყენებოდა, შემდეგ კი მოხდა სემანტიკური გადაწევა და მისი მნიშვნელობა გაფართოვდა.

ეს მნიშვნელობა ჩანს წინადადებებში:

"Her latest novel is perfect for a lazy summer's afternoon reading." (Collins Dictionary, n.d., Definition 2).

"We would have a lazy lunch and then lie on the beach in the sun." (Collins Dictionary, n.d., Definition 2).

ამ შემთხვევაში, *lazy* -ს ქართულად ვერ გადავთარგმნით, როგორც „ზარმაცს“. იგი შეგვიძლია ვთარგმნოთ, როგორც „მოდუნებული“ ან „მოშვებული“.

ამ მნიშვნელობით *lazy*-ს სინონიმებია: *lethargic, languorous, slow-moving, languid*.

3. სიტყვამ *lazy* ასევე შეიძლება დაახასიათოს ნელი, ზანტი მოძრაობა. ამ მნიშვნელობით იგი მიეკუთვნება ინგლისური ენის ლექსიკის ოფიციალურ შრეს და გამოიყენება ლიტერატურაში. *"(literary) moving slowly"* (Oxford Learner's Dictionaries, n.d., Definition 4).

მაგალითად:

"...a valley of rolling farms spread out along a lazy river." (Collins Dictionary, n.d., Definition 3).

"...the lazy, loose grace of the born athlete." (Collins Dictionary, n.d., Definition 3).

აქაც საქმე გვაქვს მეტაფორიზაციასთან და მნიშვნელობის გაფართოვებასთან. ამ შემთხვევაში, მისი სინონიმია *torpid*.

4. *Lazy* შეიძლება გამოვიყენოთ ზედაპირულად, უყურადღებოდ შესრულებული სამუშაოს დასახასიათებლად. *"(disapproving) showing a lack of effort or care."*

(Oxford Learner's Dictionaries, n.d., Definition 3), მაგალითად, “*a lazy piece of work*”. (Oxford Learner's Dictionaries, n.d., Definition 3).

სიტყვას *lazy* ინგლისურ ენაში აქვს ბევრი სინონიმი, მაგალითად: *idle, inactive, indolent, slack, inert, remiss (formal), workshy, slothful (formal), shiftless, lethargic, languorous, slow-moving, languid, sluggish, drowsy, somnolent, torpid*. (Collins Dictionary, n.d.).

რაც შეეხება ანტონიმებს, კემბრიჯის ლექსიკონში გამოყოფილია *industrious* და *energetic*.

5. სიტყვანარმოება

სიტყვა *lazy* გვხვდება, როგორც ზედსართავი სახელი, თუმცა მისგან ინარმოება სხვა მეტყველების ნაწილებიც:

არსებითი სახელი: *laziness* – “*The fact of being unwilling to work or be active*” (Oxford Learner's Dictionaries, n.d., Definition 1).

ზმნიშედა: *lazily* – “*(disapproving) in a way that shows somebody is unwilling to work or be active*” (Oxford Learner's Dictionaries, n.d., Definition 1).

ზედსართავი სახელი: *lazyish* – “*somewhat lazy*” (Collins Dictionary, n.d.).

ზმნა: *laze*, რომელიც უკუნარმოების გზით ინარმოება *lazy* -სგან. – “*If you laze somewhere for a period of time, you relax and enjoy yourself, not doing any work or anything else that requires effort*”. (Collins Dictionary, n.d.).

“*Fred lazed in an easy chair.*” (Collins Dictionary, n.d.).

6. სიტყვა *lazy* ტერმინებსა და გამოთქმებში

სიტყვა *lazy* გვხვდება არაერთ სიტყვაში, ტერმინსა და გამოთქმაში. მაგალითად:

1. **Lazybones** – „ზარმაცა ადამიანი“. ეს არის კომპოზიტი, რომელიც შედგება სიტყვებისგან *lazy* და *bones*. ამ შემთხვევაში *bones*-ს, ანუ „ძვლებს“ მეტონიმიური მნიშვნელობა აქვს. საქმე გვაქვს მეტონიმიის ერთ-ერთ ტიპთან, რომელსაც სინექდოქე ეწოდება. მეტონიმიის ამ სახეობაში ნაწილი აღნიშნავს მთლიანს (“*the part for the whole*”), შესაბამისად, „ძვლები“ აღნიშნავს ადამიანს. (Lakoff & Johnson, 1980, გვ.37).

“*Come on, lazybones, get up!*” (Oxford Learner's Dictionaries, n.d.).

2. **Lazy eye** – “*A medical condition in which you cannot see clearly, usually in one eye, because the connection between the eye and the brain has not developed fully. amblyopia is now the preferred term.*” (Cambridge Dictionary, n.d.).

“*amblyopia, an eye affected with amblyopia.*” (Merriam-Webster Dictionary, n.d.)

ეს არის სამედიცინო ტერმინი, რომელიც ამბლიოპიას აღნიშნავს. ქართულ ენაში ასევე გამოიყენება ტერმინი „ზარმაცა თვალი“.

3. **Lazy Susan** – მბრუნავი ლანგარი. *“a revolving tray used for serving food, condiments, or relishes.”* (Merriam-Webster Dictionary, n.d.). ეს იყო სიტყვა რომელიც ამერიკაში გაჩნდა 1915-1920 წლებში. უცნობია, თუ რატომ დაერქვა მას სუზენის სახელი. სავარაუდოდ, იგი პირობითად იქნა შერჩეული, რადგან იმ დროისთვის პოპულარული სახელი იყო, ხოლო სიტყვა *lazy* გამოიყენება იმიტომ, რომ ეს ლანგარი ამარტივებს საჭმლის გაზიარებას ან დაწყობას.
4. **Lazy tongs** – ხელსაწყო, რომელიც გამოიყენება საგნების შორიდან ასაღებად. *“a series of jointed and pivoted bars capable of great extension used to pick up or handle something at a distance.”* (Merriam-Webster Dictionary, n.d.). სიტყვა *lazy* აქაც იმიტომ გამოიყენება, რომ ხელსაწყო საქმეს ამარტივებს.
5. **Lazy dog (bomb)** – გარკვეული ტიპის ბომბი. *“A fin-stabilized aerial-bomb-shaped solid-steel slug that is dropped from high altitude aircraft, to achieve kinetic bombardment of the targetted area below.”* (Wiktionary, the Free Dictionary, n.d.).
6. **Lazy as David Lawrence's dog** – ეს არის გამოთქმა, თუმცა იგი არ არის საყოველთაოდ ცნობილი. ბრუერის ფრაზებისა და თქმულებების ლექსიკონის მიხედვით, ლორენსი არის წარმოსახვითი არსება, რომელიც შოტლანდიელი გლეხების რწმენით ზარმაცებს მფარველობს და ჰყავს ძაღლი, რომელიც სიზარმაცის ეტალონია.
“Here Lawrence is a corruption of Larrence, an imaginary being supposed by Scottish peasantry to preside over the lazy and indolent. Laziness is called “Larrence.” (Brewer, 1870).
7. **Lazy as Ludlam's dog, which leaned his head against the wall to bark.** - ამავე ლექსიკონის მიხედვით, ლედლემი იყო ცნობილი ჯადოქარი, რომელსაც ჰყავდა სიზარმაცით განთქმული ძაღლი. (Brewer, 1870).
8. **Lazy Man's Load** - ასევე ამ ლექსიკონის მიხედვით, ტვირთი, რომელიც ბედმეტად მძიმეა ასაწევად, მაგრამ ზარმაცი ადამიანი მაინც ცდილობს მის ერთიანად დაძლევას. (Brewer, 1870).
9. **Gone to lazyland** – ადამიანი, რომელიც დანებდა სიზარმაცეს. *“Given up to indolence and idleness.”* (Brewer, 1870).

7. ანდაზები

თუ მოვძებნით ინგლისურ ანდაზებს, რომლებიც სიზარმაცეს ეხება, ბევრ მათგანში შეგვხვდება სიტყვა *idle* და არა *lazy*. სავარაუდოდ, ამის მიზეზი არის ის, რომ *lazy* უფრო ახალი სიტყვაა, ვიდრე მისი სინონიმი *idle*. თუმცა, იძებნება ისეთი ანდაზებიც, რომლებშიც გამოიყენება *lazy*:

1. **The lazy man is always too busy.** - ზარმაცი ადამიანი ყოველთვის მოიფიქრებს მიზეზს პრობლის თავიდან ასარიდებლად.

2. **A lazy man works twice as hard.** - ზარმაცი ადამიანი შრომობს იმისათვის, რომ შრომა თავიდან აიცილოს.
3. **Lazy folks take the most pains.** - ზარმაცი ადამიანები მომავალში თვითონვე განიცდნიან იმ ზარალს, რომელიც საკუთარ თავს მიაყენეს ზარმაცობით.

8. სიტყვა „ზარმაცის“ ეტიმოლოგია ქართულ ენაში

ქართულ ენაში „ზარმაცი“ ნაწარმოებია ზმნიდან „ეზარება“, თუმცა „ეზარება“-ს ეტიმოლოგია უცნობია. (Wiktionary, the Free Dictionary, n.d.).

„ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ გვხვდება ძირი „ზარ“- (და-ზარ-ებ-ა; მე-ზარ-ებ-ა). ავტორები აღნიშნავენ, რომ იგი გვხვდება ძველ ქართულში. (ფენრიხი & სარჯველაძე, 2000, გვ. 220).

ამ ძირის სვანური შესატყვისია „ჟარ“-, მაგალითად, „ლი-ჟარ“ („მონყენა“), „მე-ნ-ჟარ-უ-ალ“ („მოხეზრებული“). (ფენრიხი & სარჯველაძე, 2000, გვ. 220).

9. „ზარმაცის“ სემანტიკა

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ენაში, ინგლისური *lazy*-სგან განსხვავებით, „ზარმაცი“ შეიძლება იყოს არსებითი სახელიც და ზედსართავი სახელიც. მაგალითად, წინადადებაში „ზარმაცებს შრომა ეზარებათ“ სიტყვა „ზარმაცებს“ არის არსებითი სახელი, ხოლო თუ ვიტყვით „ზარმაცი ადამიანი“, მაშინ საქმე გვაქვს ზედსართავ სახელთან.

ინგლისურისგან განსხვავებით, ქართული ენის ლექსიკონებში სიტყვა „ზარმაცის“ მხოლოდ ერთი მნიშვნელობა გვხვდება. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, „ზარმაცი“ შემდეგნაირად განიმარტება:

„*ვინც (რაც) მუშაობას, რისამე კეთებას გაუბრუნებს, ვისაც (რასაც) შრომა-გარჯა ეზარება.*“ (განმარტებითი ლექსიკონი, n.d.).

„ზარმაცის“ სინონიმებია: *ზანტი, ზოზინა, უქნარა, უსაქმური, კინწმონყვეტილი, ლოქო, ლოხი, მედღეხვალი, გეგეჩო, ბუზიყლაპია, გულხელდაკრეფილი*. ხშირად „ზარმაცის“ სინონიმებად გამოიყენება იდიომები: *ბუზებს თვლის, ბუზებს ყლაპავს, თითს არ გაანძრევს*. (ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, n.d.).

„ზარმაცის“ ანტონიმებია: *ბეჭითი, მუყაითი, შრომისმოყვარე, გულმოდგინე, მონდომებული, საქმიანი, აქტიური, მშრომელი, ენერგიული*.

10. სიტყვაწარმოება

ისევე, როგორც ინგლისურში, ქართული ზედსართავი სახელი „ზარმაციდან“ იწარმოება სხვა მეტყველების ნაწილებიც:

არსებითი სახელი: უკვე ვახსენეთ არსებითი სახელი „ზარმაცი“. გარდა ამისა, გვაქვს „სიზარმაცე“ და „ზარმაცუნა“, რომელიც ხშირად გამოიყენება ბავშვებთან მიმართებაში და აქვს კნინობით-ალერსობითი ელფერი, მაგალითად, „რა ზარმაცუნაა!“.

ზმნიზება: „ზარმაცად“.

ზედსართავი სახელი: „ზარმაცული“.

11. ანდაზები

ქართულ ენაში „ზარმაცი“ გვხვდება არაერთ ანდაზაში:

1. **ზარმაცისთვის ყოველდღე უქმეაო. / ზარმაცისთვის ნიადაგ უქმეაო.** მისი ინგლისური შესატყვისებია *“Idle folks lack no excuses”, “Every day is holiday with sluggards (Br.)”* და *“A lazy man always finds excuses (Am.)”*. (რუსიეშვილი და სხვანი, 2015).

მოცემული სამი ინგლისური ვარიანტიდან, ქართულთან ყველაზე ახლოს დგას *“Every day is a holiday with sluggards”*, რადგან, ისევე როგორც ქართული ანდაზა, იგი მოიცავს უქმე დღის ცნებას.

2. **ზარმაცი მუშაობის დროს თავს მოიავადმყოფებსო** - მისი ინგლისური შესატყვისებია: *„Idleness dulls the wit (Am.)“*; *„Idleness is the Dead Sea that swallows all virtues (Am.)“*; *„Idleness makes the wit rust (Br.)“*; *„Idleness rusts the mind.“* (რუსიეშვილი და სხვანი, 2015).

ყველა ინგლისურ შესატყვისს ქართულისგან განსხვავებული ფორმულირება აქვს. ინგლისურ ვარიანტებში მეტაფორულად ხაზგასმულია, როგორ „აუანგებს“ ან სპობს სიზარმაცე ადამიანის გონებას და მის შესაძლებლობებს. კონცეპტუალური მეტაფორის თეორიის თვალსაზრისით, ინგლისურ შესატყვისებში *“Idleness makes the wit rust”* და *“Idleness rusts the mind”* თავს იჩენს მეტაფორა: „სიზარმაცე არის უანგვა“. (Lakoff & Johnson, 1980).

3. **ზარმაცი კაცი ღმერთს ემდუროდაო** - *“Fortune helps them that help themselves”*. (რუსიეშვილი და სხვანი, 2015).

საკმაოდ განსხვავებული ფორმულირების მიუხედავად, ეს ორი ანდაზა ერთსა და იმავე აზრს ატარებს: თუ ჩვენ თვითონ არ შევეცდებით ჩვენი მდგომარეობის გამოსწორებას, მაშინ უსამართლობა იქნება, რომ იგი ღმერთს ან ბედისწერას დავაბრალოთ. შესაბამისად, ქართული ანდაზაც და მისი ინგლისური ვარიანტიც ხაზს უსვამს ზარმაცი ადამიანის პასიურ ბუნებას და მის მიდრეკილებას, რომ საკუთარი

მდგომარეობის გამოუსწორებლობა ზებუნებრივ, ღვთაებრივ ძალებს ან ბედ-ილბალს დააბრალოს.

4. ზარმაცი ჭამის დროს კარგად არის, მუშაობის დროს – ავად - *“Too much bed makes a dull head.”* (რუსიეშვილი და სხვანი, 2015).

მოცემული ანდაზა და მისი ინგლისური შესატყვისი ატარებს ერთსა და იმავე აზრს, რომლებიც მცირეოდენი განსხვავებებითაა გადმოცემული. ზარმაცი ადამიანი თავს კარგად გრძნობს მხოლოდ მაშინ, როცა არ მუშაობს. ქართულ ვარიანტში სიზარმაცე ასოცირდება ჭამასთან, ხოლო ინგლისურში დაწოლასთან (bed). ამავე დროს, ქართულ ანდაზაში ყურადღება გამახვილებულია დისკომფორტზე, რომელსაც ზარმაცი ადამიანი მუშაობისას გრძნობს, ხოლო ინგლისური შესატყვისი ხატავს ზედმეტი წოლისგან ან დასვენებისგან დაჩლუნგებული ადამიანის სურათს, შესაბამისად, ამ ვერსიაში უფრო მეტად ჩანს სიზარმაცის შედეგი და არა პროცესი.

5. ზარმაცი მუდამ კვნესისო - *“A lazy sheep thinks its wool heavy.”* (რუსიეშვილი და სხვანი, 2015).

ეს ქართული ანდაზა, ინგლისურ შესატყვისთან შედარებით, უფრო პირდაპირ ასახავს მთავარ აზრს - ზარმაცი ადამიანი ყოველთვის წუნუნებს. ინგლისური ვერსია უფრო მეტაფორულია: ადამიანი, რომელიც საკუთარი სიზარმაცით კიდევ უფრო ამწვავებს საკუთარ სიტუაციას გაიგივებულია ცხვართან, რომელსაც საკუთარი მატყლი მძიმედ ეჩვენება. მეტაფორულად სიზარმაცე არის მძიმე ტვირთი, რომელიც ადამიანს უბიძგებს უფრო მეტი წუნუნისკენ. მოცემულ ინგლისურ ვერსიასთან უფრო ახლოა ქართული „ზარმაც ცხენს კუდი ემძიმებაო“.

6. ზარმაც მწემს საქონლის მობრუნება შორიდან მოუხდებაო - *“Brains in the head saves blisters on the feet (Am.)”; “A forgetful head makes a weary pair of heels (Br.)”*. (რუსიეშვილი და სხვანი, 2015).

ამ ანდაზებსაც ერთმანეთისგან განსხვავებული ფორმულირება აქვთ, თუმცა ყველა ეფუძნება ერთსა და იმავე მეტაფორას: სიზარმაცე ღროისა და ენერგიის კარგვაა. თუ ადამიანი გონივრულად მოქმედებს და არ ზარმაცობს, იგი თავიდან იცილებს დამატებით პრობლემებს, „საქონლის შორიდან მობრუნებას“ ან ბუბტუკებს კანზე (*“blisters on the feet”*).

7. სხვისთვის მამაცი, თავისთვის ზარმაციო - *“A cobbler’s child is always the worst shod.”* (რუსიეშვილი და სხვანი, 2015).

ეს ანდაზა ხაზს უსვამს სიზარმაცის კიდევ ერთ შრეს: ხშირად ადამიანი ზარმაცობს სათავისო საქმის კეთებისას, თუმცა უპრობლემოდ შრომობს სხვისთვის. ქართულ ანდაზაში, ეს თვისება ირონიულადაა გამოხატული სიტყვით „მამაცი“, ინგლისური შესატყვისი კი ხატავს კონკრეტულ სურათს - ხარაზი დაკავებულია სხვებისთვის ფეხსაცმლის კეთებით, მაშინ როცა მის შვილს ყველაზე ცუდი ფეხსაცმელები აცვია.

8. სიზარმაცე შობს ყოველგვარ ბოროტებას - “Idleness is the mother of all evil”;
“An idle brain is a devil’s workshop”; *“By doing nothing we learn to do ill”.*
 (რუსიეშვილი და სხვანი, 2015).

როგორც ქართული, ისე ინგლისური შესატყვისები ეფუძნება მეტაფორას: სიზარმაცე არის ბოროტების წყარო. ეს ანდაზა ხაზს უსვამს ადამიანის ბუნების ნეგატიურ მხარეს, კერძოდ იმას, თუ რამდენად მარტივია სიზარმაცის გამო ბოროტებისკენ გადახრა. ქართულ და ინგლისურ ენებში მსგავსი ფორმულირებიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ იდეას არაერთ საზოგადოებასა თუ კულტურაში იზიარებენ.

**12. ინგლისური სიტყვა “lazy” და მისი ქართული კორელატი „ზარმაცი“
 სემანტიკური ველის თეორიის ჭრილში**

შეკითხვას, თუ რატომ არის ინგლისური ერთეული *lazy* პოლისემანტური, როცა მისი ქართული კორელატი „ზარმაცის“, მხოლოდ ერთი მნიშვნელობა იძებნება, შეიძლება პასუხი გავცეთ სემანტიკური ველის თეორიის დახმარებით.

ინგლისურ ენაში *lazy* მიეკუთვნება მდიდარ სემანტიკურ ველს, რომელიც აერთიანებს სიზარმაცისა და ენერგიის ან მოტივაციის ნაკლებობის ცნებებთან დაკავშირებულ სიტყვებს, როგორებიცაა: *idle, sluggish, indolent, unmotivated, lethargic* და სხვა. ამ ველის ფარგლებში *lazy* იძენს სხვადასხვა კონტექსტზე მორგებულ დამატებით მნიშვნელობებს, რომლებიც აღიქმება ველის სხვა ერთეულებთან კონტრასტში. მაგალითად, *idle* შეიძლება ნიშნავდეს დროებით უმოქმედობას, ხოლო *lazy*, როგორც წესი, მოიცავს ნების ელემენტსაც და გამოიყენება მაშინ, როცა ადამიანი გამიზნულად არჩევს უმოქმედობას. *Idle* განიმარტება, როგორც “*not being in a state of use, activity, or employment.*” (Merriam-Webster, n.d.). პოლისემიასთან საქმე გვაქვს მაშინ, როცა ერთი სიტყვა თავს იჩენს სხვადასხვა კონტექსტში. მაგალითად, ქცევის კონტექსტში (a lazy child), მოძრაობის კონტექსტში (lazy river), ან სამედიცინო კონტექსტში (lazy eye).

ინგლისური ერთეულისგან განსხვავებით, მისი ქართული კორელატი „ზარმაცი“, როგორც წესი, გამოიყენება მხოლოდ ადამიანებთან მიმართებაში.

„ზარმაცი“ არ გამოიყენება მოძრაობის კონტექსტში, ქართული ენისთვის უჩვეულო იქნებოდა „ზარმაცი მდინარე“. რაც შეეხება სამედიცინო კონტექსტს, ქართულშიც გამოიყენება „ზარმაცი თვალი“, თუმცა ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ნათარგმნ ტერმინთან, რომელიც სხვა ენებშიც ასევე გვხვდება (მაგ. რუსულად ленивый глаз, იტალიურად occhio pigro). შესაბამისად, ინგლისურ ენაში *lazy* შეიძლება შეგვხვდეს მეტაფორული მნიშვნელობებით, ხოლო ქართულში სიზარმაცის ცნებასთან დაკავშირებული სემანტიკური ველი უფრო ვიწროა და „ზარმაცი“ მონოსემანტური სიტყვაა.

13. დასკვნა

რომ შევაჯამოთ, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განსახილველი სიტყვის ისტორია ინგლისურ ენაში იწყება მე-16 საუკუნიდან. ინგლისური ლექსიკური ერთეული *lazy* წარმოადგენს ზედსართავ სახელს და ინგლისური ენის ლექსიკონებში მის ოთხ სხვადასხვა მნიშვნელობას ვხვდებით, ხოლო ქართულ ლექსიკონებში „ზარმაცის“ მხოლოდ ერთი მნიშვნელობა იძებნება, რომელიც შეესაბამება *lazy* -ს მთავარ მნიშვნელობას. ინგლისური *lazy* ინდო-ევროპული წარმოშობის სიტყვაა, ხოლო ქართული „ზარმაცის“ ეტიმოლოგია ბუნდოვანია. როგორც კვლევამ აჩვენა, რადგანაც სიზარმაცე არ არის ახალი ცნება და ადამიანებისთვის ყოველთვის იყო კარგად ცნობილი, ორივე საკვლევე ენაში მისი გამოხატველი ზედსართავი სახელი ფიქსირდება მრავალ ტერმინში, გამოთქმასა თუ ანდაზაში და მოექცევნება ბევრი სინონიმი და ანტონიმი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Austen, J. (1886). *Emma*. Spottiswoode and Co.
2. Brewer, E. C. (1870). *Brewer's dictionary of phrase and fable*. Cassell, Petter & Galpin.
3. Cambridge Dictionary. (n.d.). Lazy. Antonyms and examples. In *dictionary.cambridge.org*. Retrieved May 22, 2025, from <https://dictionary.cambridge.org/thesaurus/lazy>
4. Cambridge Dictionary. (n.d.). Lazy eye. In *dictionary.cambridge.org*. Retrieved May 22, 2025, from <https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/lazy-eye>
5. Collins Dictionary. (n.d.). Collins English thesaurus: Lazy. In *collinsdictionary.com*. Retrieved May 22, 2025, from <https://www.collinsdictionary.com/dictionary/english-thesaurus/lazy>
6. Collins Dictionary. (n.d.). Lazy. In *collinsdictionary.com*. Retrieved May 22, 2025, from <https://www.collinsdictionary.com/dictionary/english/lazy>

7. Collins Dictionary. (n.d.). Laze. In *collinsdictionary.com*. Retrieved May 22, 2025, from <https://www.collinsdictionary.com/dictionary/english/laze>
8. Collins Dictionary. (n.d.). Lazyish. In *collinsdictionary.com*. Retrieved May 22, 2025, from <https://www.collinsdictionary.com/dictionary/english/lazyish>
9. Ginzburg, R. S. (1979). A course in modern English lexicology. Vysšaja Škola.
10. Lakoff, G., & Johnson, M. (1980). Metaphors we live by. University of Chicago Press.
11. Merriam-Webster. (n.d.). Lazy eye. In *Merriam-Webster.com dictionary*. Retrieved May 22, 2025, from <https://www.merriam-webster.com/dictionary/lazy%20eye>
12. Merriam-Webster. (n.d.). Lazy Susan. In *Merriam-Webster.com dictionary*. Retrieved May 22, 2025, from <https://www.merriam-webster.com/dictionary/lazy%20Susan>
13. Merriam-Webster. (n.d.). Lazy tongs. In *Merriam-Webster.com dictionary*. Retrieved May 22, 2025, from <https://www.merriam-webster.com/dictionary/lazy%20tongs>
14. Online Etymology Dictionary. (n.d.). Lazy. In *Etymonline.com*. Retrieved May 22, 2025, from <https://www.etymonline.com/search?q=lazy>
15. Oxford English Dictionary. (n.d.). Lazy. In *OED.com*. Retrieved May 22, 2025, from https://www.oed.com/dictionary/lazy_adj?tl=true&tab=etymology-paywall
16. Oxford Learner's Dictionaries. (n.d.). Lazily. In *oxfordlearnersdictionaries.com*. Retrieved May 22, 2025, from <https://www.oxfordlearnersdictionaries.com/definition/english/lazily?q=lazily>
17. Oxford Learner's Dictionaries. (n.d.). Laziness. In *oxfordlearnersdictionaries.com*. Retrieved May 22, 2025, from <https://www.oxfordlearnersdictionaries.com/definition/english/laziness?q=laziness>
18. Oxford Learner's Dictionaries. (n.d.). Lazy. In *oxfordlearnersdictionaries.com*. Retrieved May 22, 2025, from <https://www.oxfordlearnersdictionaries.com/definition/english/lazy>
19. Oxford Learner's Dictionaries. (n.d.). Lazybones. In *oxfordlearnersdictionaries.com*. Retrieved May 22, 2025, from <https://www.oxfordlearnersdictionaries.com/definition/english/lazybones?q=lazybones>
20. Wiktionary, the free dictionary. (n.d.). Lazy. Retrieved May 22, 2025, from <https://en.wiktionary.org/wiki/lazy#Etymology>
21. Wiktionary, the free dictionary. (n.d.). Lazy dog bomb. Retrieved May 22, 2025, from https://en.wiktionary.org/wiki/lazy_dog_bomb
22. Wiktionary, the free dictionary. (n.d.). ზარმაცი. Retrieved May 22, 2025, from <https://en.wiktionary.org/wiki/%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98#Etymology4o>
23. განმარტებითი ლექსიკონი ena.ge. (n.d.). ზარმაცი. In *Ena.ge*. Retrieved May 22, 2025, from <https://ena.ge/explanatory-online>
24. რუსიშვილი. მ, ლორთქიფანიძე. ქ, დოლიძე. რ, თუმანიშვილი. ს, მუჭირი. ს, ჭეიშვილი. ტ, ახალაია. ნ, კვანტალიანი. მ. ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზა. (2015). In *idioms.tsu.ge*. Retrieved May 22, 2025, from

<https://idioms.tsu.ge/?s=%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AA>

25. ფენრიხი. ჰ, სარჯველაძე. ზ. (2000). ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა.
26. ქართულ სინონიმთა ლექსიკონი. (n.d.). ზარმაცი. In *Nplg.gov.ge*. Retrieved May 22, 2025, from <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=17&t=911>

ავტორის შესახებ:

მარიამ დოდაშვილი არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მეოთხე კურსის სტუდენტი.

About the author:

Mariam Dodashvili is a fourth-year student of the BA Program in English Philology at Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

Email: mariamdodashvili2003@gmail.com

სამადლობელი:

მინდა მადლობა გადავუხადო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორებს, ქალბატონ ირინა დემეტრაძეს და ქალბატონ ნინო დარასელიას. სწორედ მათი დახმარებით, მხარდაჭერითა და მათი ობიექტური შენიშვნებისა და ღირებული რჩევების გათვალისწინებით შევძელი ამ სტატიის შექმნა.

Acknowledgements:

I would like to thank the associate professors of Tbilisi State University, Ms. Irina Demetradze and Ms. Nino Daraselia. It is with their help, support and their objective remarks and valuable advice that I was able to create this article.